მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის №1 დანართის მე-4 თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები) მე-19 მუხლიდან (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით შეიქმნეს სარეზერვო ფონდი და განისაზღვროს 1350,0 ათასი ლარის ოდენობით (წლიური დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების საერთო მოცულობის 1,1%), საგანგებო, ან/და გაუთვალისწინებელი ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, რაც კანონით განსაზღვრულ 2%-ს არ აღემატება და განკარგავს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და საქართველოს კანონით „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ დადგენილი წესის შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე) დაკავშირებით. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ს.სარალიძე, თ.ბაკურაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.გიორგაძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 2-მა წევრმა, ალ.მიქაუტაძემ და თ.მებურიშვილმა), და ა ა დ გ ი ნ ე ს:

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის №1 დანართის მე-4 თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები) მე-19 მუხლი (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით შეიქმნეს სარეზერვო ფონდი და განისაზღვროს 1350,0 ათასი ლარის ოდენობით (წლიური დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების საერთო მოცულობის 1,1%), საგანგებო, ან/და გაუთვალისწინებელი ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, რაც კანონით განსაზღვრულ 2%-ს არ აღემატება და განკარგავს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და საქართველოს კანონით „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ დადგენილი წესის შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე) დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ზატონმა გიორგი ჭიღვარიამ გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის №1 დანართის მე-4 თავის

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები) მე-20 მუხლთან (წინა პერიოდში შეუსრულებელი ვალდებულებების დასაფარად და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფისათვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან განისაზღვროს 200,0 ათასი ლარი, თანხების გამოყოფა განხორციელდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე) დაკავშირებით. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ს.სარალიძე, თ.ბაკურაძე, ჯ.ბიბილიაშვილი, მ.გიორგაძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 2-მა წევრმა, ალ.მიქაუტაძემ და თ.მებურიშვილმა), და ა ა დ გ ი ნ ე ს:

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის №1 დანართის მე-4 თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები) მე-20 მუხლი (წინა პერიოდში შეუსრულებელი ვალდებულებების დასაფარად და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფისათვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან განისაზღვროს 200,0 ათასი ლარი, თანხების გამოყოფა განხორციელდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე) დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის №1 დანართის მე-4 თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები) 21-ე მუხლთან (გათვალისწინებულ იქნეს, რომ ქალაქ ქუთაისში, 2018–2029 წლებში განხორციელებული პროექტებისათვის (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის“ შექმნილი სპეც. ტექნიკა, ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემული სამგზავრო ავტობუსები სათადარიგო ნაწილებით) აღებული ვალდებულების დასაფინანსებლად (მათ შორის: სესხის ძირითადი თანხა და დარიცხული პროცენტი) განსაზღვრულია 4338,6 ათასი ლარი. დაფინანსება მოხდეს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა და სესხის მორიგების გრაფიკების მიხედვით, ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მიერ) დაკავშირებით. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ს.სარალიძე, თ.ბაკურაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.გიორგაძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 2-მა წევრმა, ალ.მიქაუტაძემ და თ.მებურიშვილმა), და ა ა დ გ ი ნ ე ს:

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის №1 დანართის მე-4 თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები) 21-ე მუხლი (გათვალისწინებულ იქნეს, რომ ქალაქ ქუთაისში, 2018–2029 წლებში განხორციელებული პროექტებისათვის (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის“ შექმნილი სპეც. ტექნიკა, ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემული სამგზავრო ავტობუსები სათადარიგო ნაწილებით) აღებული ვალდებულების დასაფინანსებლად (მათ შორის: სესხის ძირითადი თანხა და დარიცხული პროცენტი) განსაზღვრულია 4338,6 ათასი ლარი. დაფინანსება მოხდეს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა და სესხის მორიგების გრაფიკების მიხედვით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მიერ) დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის №1 დანართის მე-4 თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები) 22-ე მუხლთან (ცნობად იქნეს მიღებული, რომ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის მხარჯავი სუბიექტების ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში განხორციელდება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების, მხარჯავი დაწესებულებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 იანვრის №125 დადგენილების შესაბამისად) დაკავშირებით. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა

წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ს.სარალიძე, თ.ბაკურაძე, ჯ.ბიბილიაშვილი, მ.გიორგაძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 2-მა წევრმა, ალ.მიქაუტაძემ და თ.მებურიშვილმა), და ა ა დ გ ი ნ ე ს:

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის №1 დანართის მე-4 თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები) 22-ე მუხლი (ცნობად იქნეს მიღებული, რომ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის მხარჯავი სუბიექტების ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში განხორციელდება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების, მხარჯავი დაწესებულებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 იანვრის №125 დადგენილების შესაბამისად) დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის №1 დანართის მე-4 თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები) 23-ე მუხლთან (ბიუჯეტით გათვალისწინებული კულტურის ღონისძიებების პროგრამაში საგამომცემლო მომსახურების შემთხვევაში გამოცემულ ჟურნალებზე/წიგნებზე აუცილებლად მიეთითოს, რომ ბეჭდვა დაფინანსებულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ, ტირაჟის ოდენობა და მუნიციპალიტეტის ლოგო. ტირაჟის არაუმეტეს, 50%-ისა, უნდა გადმოეცეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს, მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებით, მერიის შესაბამის სამსახურთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე) დაკავშირებით. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ს.სარალიძე, თ.ბაკურაძე, ჯ.ბიბილიაშვილი, მ.გიორგაძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 2-მა წევრმა, ალ.მიქაუტაძემ და თ.მებურიშვილმა), და ა ა დ გ ი ნ ე ს:

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის №1 დანართის მე-4 თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები) 23-ე მუხლი (ბიუჯეტით გათვალისწინებული კულტურის ღონისძიებების პროგრამაში საგამომცემლო მომსახურების შემთხვევაში გამოცემულ ჟურნალებზე/წიგნებზე აუცილებლად მიეთითოს, რომ ბეჭდვა დაფინანსებულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ, ტირაჟის ოდენობა და მუნიციპალიტეტის ლოგო. ტირაჟის არაუმეტეს, 50%-ისა, უნდა გადმოეცეს მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებით, მერიის შესაბამის სამსახურთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.) დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის №1 დანართის მე-4 თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები) 24-ე მუხლთან (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი (ინსპექტირება) დაევალოთ მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს) დაკავშირებით. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ს.სარალიძე, თ.ბაკურაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.გიორგაძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 2-მა წევრმა, ალ.მიქაუტაძემ და თ.მეზურიშვილმა), და ა დ გ ი ნ ე ს:

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის №1 დანართის მე-4 თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები) 24-ე მუხლი (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი (ინსპექტირება) დაევალოთ მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს) დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის №1 დანართის მე-4 თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები) 25-ე მუხლთან (ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაფინანსებულ სხვადასხვა პროგრამაში, სოციალური მდგომარეობის სარეიტინგო ქულების გაანგარიშება და გათვალისწინება ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი სარეიტინგო ქულების სისტემის შესაბამისად.) დაკავშირებით. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ს.სარალიძე, თ.ბაკურაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.გიორგაძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 2-მა წევრმა, ალ.მიქაუტაძემ და თ.მებურიშვილმა), და ა ა დ გ ი ნ ე ს:

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის №1 დანართის მე-4 თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები) 25-ე მუხლი (ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაფინანსებულ სხვადასხვა პროგრამაში, სოციალური მდგომარეობის სარეიტინგო ქულების გაანგარიშება და გათვალისწინება ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი სარეიტინგო ქულების სისტემის შესაბამისად) დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის №1 დანართის მე-4 თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები) 26-ე მუხლთან (ცნობად იქნეს მიღებული, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ დამტკიცებული ასიგნებებიდან დაფინანსდება გაერთიანებისა და ქალაქის ნაკრები გუნდების მონაწილეობა (სპორტსმენები და მწვრთნელები)

საქართველოს ჩემპიონატებსა და პირველობებზე, ასევე საქართველოს მასშტაბით გამართულ სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებსა და საერთაშორისო ტურნირებზე, ამხანაგურ შეხვედრებსა და თასის გათამაშებებზე, შესაბამისად, იკრძალება არასამეწარმეო(არაკომერციული)იურიდიული პირის „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაფინანსება ამ გაერთიანების ასიგნებებიდან საზღვარგარეთ გამართულ სპორტულ ღონისძიებებზე) დაკავშირებით. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ს.სარალიძე, თ.ბაკურაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.გიორგაძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 2-მა წევრმა, ალ.მიქაუტაძემ და თ.მეზურიშვილმა), და ა ა დ გ ი ნ ე ს:

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის №1 დანართის მე-4 თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები) 26-ე მუხლი (ცნობად იქნეს მიღებული, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ დამტკიცებული ასიგნებებიდან დაფინანსდება გაერთიანებისა და ქალაქის ნაკრები გუნდების მონაწილეობა (სპორტსმენები და მწვრთნელები) საქართველოს ჩემპიონატებსა და პირველობებზე, ასევე საქართველოს მასშტაბით გამართულ სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებსა და საერთაშორისო ტურნირებზე, ამხანაგურ შეხვედრებსა და თასის გათამაშებებზე, შესაბამისად, იკრძალება არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაფინანსება ამ გაერთიანების ასიგნებებიდან საზღვარგარეთ გამართულ სპორტულ ღონისძიებებზე) დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის №1 დანართის მე-4 თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები) 27-ე მუხლიდან (ცნობად იქნეს მიღებული, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ გამოყოფილი ასიგნებებიდან სამუსიკო-სახელოვნებო სფერო დაფინანსდება მხოლოდ ქვეყნის შიგნით, საქართველოს

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და სხვა საერთაშორისო უწყებების მიერ განხორციელებულ კონკურსებსა და ღონისძიებებში მონაწილეობისათვის) დაკავშირებით. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ს.სარალიძე, თ.ბაკურაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.გიორგაძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 2-მა წევრმა: ალ.მიქაუტაძემ და თ.მებურიშვილმა), და ა ა დ გ ი ნ ე ს:

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის №1 დანართის მე-4 თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები) 27-ე მუხლი (ცნობად იქნეს მიღებული, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ გამოყოფილი ასიგნებებიდან სამუსიკო-სახელოვნებო სფერო დაფინანსდება მხოლოდ ქვეყნის შიგნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და სხვა საერთაშორისო უწყებების მიერ განხორციელებულ კონკურსებსა და ღონისძიებებში მონაწილეობისათვის) დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის №1 დანართის მე-4 თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები) 28-ე მუხლთან (ცნობად იქნეს მიღებული, რომ გასული წლის შეუსრულებელი ვალდებულებების დაფარვა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც წინა პერიოდში შეუსრულებელი ვალდებულებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ქვეპროგრამიდან, ასევე, შესაბამისი პროგრამებიდან) დაკავშირებით. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ს.სარალიძე, თ.ბაკურაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.გიორგაძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 2-მა წევრმა ალ.მიქაუტაძემ და თ.მებურიშვილმა), და ა ა დ გ ი ნ ე ს:

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის №1 დანართის მე-4 თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები) 28-ე მუხლი (ცნობად იქნეს მიღებული, რომ გასული წლის შეუსრულებელი ვალდებულებების დაფარვა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც წინა პერიოდში შეუსრულებელი ვალდებულებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ქვეპროგრამიდან, ასევე, შესაბამისი პროგრამებიდან) დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის №2 დანართთან (ინფორმაცია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების შესახებ) დაკავშირებით. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ს.სარალიძე, თ.ბაკურაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.გიორგაძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 2-მა წევრმა, ალ.მიქაუტაძემ და თ.მებურიშვილმა), და ა ა დ გ ი ნ ე ს:

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის №2 დანართი (ინფორმაცია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების შესახებ) დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

ამის შემდეგ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ამ დადგენილების №1 და №2 დანართებთან ერთად. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ

ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ს.სარალიძე, თ.ბაკურაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.გიორგაძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 2-მა წევრმა, ა.მიქაუტაძემ და თ.მებურიშვილმა), და ა დ გ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დადგენილება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილის, დავით ნიშნიანიძის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №3 დადგენილების პროექტში.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილება №3 ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მე-3 საკითხის - „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე დადგენილების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა, ბატონმა გიორგი სვანიძემ.

(დადგენილების პროექტი ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა. კენჭისყრის

პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ლ.გვენეტაძე, ს.სარალიძე, თ.ბაკურაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.გიორგაძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 17 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 2-მა წევრმა, ალ.მიქაუტაძემ და თ.მებურიშვილმა), და ა ა დ გ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს დადგენილება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის, გიორგი სვანიძის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გარეშე.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილება №4 ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მე-4 საკითხის - „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სამტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე დადგენილების პროექტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2025 წლის 24 დეკემბრის სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (გასწორდა ტექნიკური შეცდომა დადგენილების № 1 დანართის პირველი პუნქტის (პირველადი სტრუქტურული ერთეული-მერიის ადმინისტრაციული სამსახური) „კ“, „კ.ბ“, „ლ“ და „ლ.გ“ ქვეპუნქტებში. კერძოდ, „კ“ ქვეპუნქტში რიცხვი: „14“, შეიცვალა რიცხვით: „15“. „კ.ბ“ ქვეპუნქტში რიცხვი: „13“, შეიცვალა რიცხვით: „14“. „ლ“ ქვეპუნქტში რიცხვი: „7“, შეიცვალა რიცხვით: „6“. „ლ.გ“ ქვეპუნქტში რიცხვი: „4“, შეიცვალა რიცხვით: „3“.), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა პეტრე ადამაძემ.

აზრი გამოთქვას:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (პოლიტიკური პარტია „გირჩი“) ქალბატონი თეკლა მებურიშვილი: „ბიუჯეტის განხილვის დროს მინდოდა ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემი აზრის დაფიქსირება, მაგრამ სამწუხაროდ, დავაგვიანე სხდომაზე, რისთვისაც გიხდით ბოდიშს. პირველ რიგში, მივესალმები საჯარო მოხელეების ხელფასის ზრდას, ვინაიდან, ამ ადამიანების ხელშია ქუთაისის ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტის, ბიუჯეტის განკარგვა და საჭიროა მათ ჰქონდეთ შესაბამისი ანაზღაურება. ბიუჯეტის კომისიური განხილვის დროს, მმართველი გუნდის მხრიდანაც დაფიქსირდა, რომ არ გვაქვს იმდენად მაღალი ბიუჯეტი, რომ გადაიჭრას ყველა პრობლემა, მაგრამ შეგვიძლია განვსაზღვროთ პრიორიტეტი დღევანდელ რეალობაში. სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახებისთვის დახმარების გაზრდა ვერ მოხერხდა, ვინაიდან ამისთვის ბიუჯეტში არ გამოიძებნა საკმარისი თანხა, მაგრამ სამაგიეროდ ამავე ბიუჯეტის ნახევარი ხმარდება საჯარო მოხელეების ანაზღაურებას. არანაირი თანხა არ მიდის ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე. რიონისპირა სახლები ინგრევა და ვერ ხდება მათი რეაბილიტაცია. ქალაქში არის დასახლებები, სადაც არ არის საკანალიზაციო სისტემა და წვიმის დროს იტბორება გარკვეული ადგილები. პრიორიტეტები, რომლებიც განსაზღვრულია დღევანდელ ბიუჯეტში, არ არის სწორად გადანაწილებული. ბიუჯეტი უნდა გადავანაწილოთ ისე, როგორც ჩვენ გვინდა და როგორც ქუთაისელების ღირსეულ ცხოვრებას შეეფერება. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ეს დოკუმენტი არ იძლევა განვითარების გეგმას. ვხედავ, რომ არის რაღაც პრობლემის გადაჭრის საშუალება, მაგრამ ის, რომ ეს დოკუმენტი იყოს 4 წლიანი განვითარების გეგმის ერთ წლიანი ნაწილი, ამას ვერ ვხედავ. დარწმუნებული ვარ მომავალი 4 წელი ისევ ის განათება გვექნება ქალაქში, რაც გვაქვს დღესდღეობით. ჩვენ ვერ შევთანხმდებით პრიორიტეტებზე, ვინაიდან, ყველა ჩვენგანისთვის პრიორიტეტი შეიძლება სხვადასხვა იყოს. ეს გასგებია. პრემიერმა რამდენიმე ხნის წინ გააკეთა განცხადება, რომ იგეგმება თბილისის ადმინისტრაციული სამსახურების გადატანა ახალ ადგილზე და ამით მოხდება თბილისის განტვირთვა.

ვფიქრობ, ეს არის შანსი ქუთაისისთვის. მოვთხოვთ მთავრობას შეიქმნეს სამუშაო ჯგუფი და ახალი ადმინისტრაციული შენობები აშენდეს ქუთაისში, რაც სასიცოცხლო ელექსირით სჭირდება ქალაქს. ქუთაისი, რომ გახდეს ეკონომიკური ცენტრი, ვფიქრობ, ამაზე საუბარი ჩვენ უნდა დავიწყოთ. ამ საკითხში მთავარი მხარდაჭერა ჩვენ უნდა მივიღოთ ქუთაისელებისაგან. ამ ქალაქში მნიშვნელოვანი ცვლილებების დაწყების საშუალებას არც ეს ბიუჯეტი გვაძლევს და არ მოგვცემა ამის საშუალებას არც მომდევნო წელს. ჩვენ თავად უნდა დავიჯეროთ, რომ ამ ქალაქს აქვს თუნდაც პარლამენტის გადმოტანის პერსპექტივა არა მარტო შენობის, ასევე ფუნქციურად. მე მზად ვარ, ყველასთან ერთად შევიტანო წვლილი ამ საქმეში. შეიძლება ბევრს არ მოსწონდეს, რომ ქუთაისი გახდეს ადმინისტრაციული ცენტრი, მაშინ მე მექნება უკეთესი იდეების მოლოდინი, რომელიც დაგვანახებს, რომ ქუთაისი გახდება ქალაქი, საიდანაც არა წასვლის, არამედ, დაბრუნების სურვილი გაუჩნდებათ ადამიანებს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „ბიუჯეტის ირგვლივ სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების პროგრამებთან დაკავშირებით გიპასუხებთ ბატონი დავითი. მე კი გეტყვით, რომ თვითმმართველობის არჩევნებში ძალიან დიდი ლეგიტიმაციით მოვიდა „ქართული ოცნება“. ჩვენ ყოველდღიურ რეჟიმში გვიწევს შეხვედრა მოსახლეობასთან და ეს პროექტები, რომლებიც ხორციელდება, არის მოქალაქეების მიერ მოწოდებული პრიორიტეტები. თქვენ არ მოგისმენიათ და მერმა ისაუბრა იმ მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომლებიც განხორციელდება ქალაქში. საუბარს დავიწყებ სპორტის სასახლიდან, რომელიც გათვლილი იქნება 5000 მაყურებელზე. ეს იქნება საერთაშორისო სტანდარტებით აგებული რამდენიმე სპორტული დარბაზი, რომელიც ხელს შეუწყობს ქალაქში სპორტული ტურიზმის განვითარებას. იქვე, 70 ჰექტარზე კეთდება დასასვენებელი პარკი თავისი სასეირნო და ველო ბილიკებით, ხელოვნური ტბებით და ასე შემდეგ. ასევე ჭავჭავაძეზე, ლითოფონის ქარხნის ყოფილ ტერიტორიაზე, იგეგმება დასასვენებელი პარკის მოწყობა, რომელიც სალორიისა და ნიკეას ტერიტორიებს დააკავშირებს ერთმანეთთან და აქვე განიხილება ხიდის თემაც. ქალაქის ცენტრალურ ტერიტორიაზე მოხდება რამდენიმე ისტორიული ქუჩის სრული

რეაბილიტაცია. საცხოვრებელ კორპუსებში თვითმმართველობას მთლიანად აქვს აღებული საბოლოო ჯამში ლიფტების გამოცვლის ტენდენცია. მოსწავლე - ახალგაზრდობის პარკის რეაბილიტაცია უკვე მიმდინარებს და ეს ყველაფერი ხორციელდება არა ადგილობრივი, არამედ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან წამოსული თანხებით. ჩვენი ისტორიული ბიბლიოთეკა, რომელიც სულ იყო პრობლემა და ჩემი მერობის პერიოდშიც ვერ მოვიძიეთ თანხები, ახლა გადაწყდა, რომ მოხდება მისი რეაბილიტაცია. პრემიერის მიერ დაანონსებული ინფორმაცია, რომ ქუთაისი გახდება სტუდენტური ქალაქი, ასევე მნიშვნელოვანია, ვინაიდან, ახალგაზრდების შემოდინება, ქალაქს ახალ სიცოცხლეს მისცემს. ჩვენ ყველას გვინდა, რომ ჩვენი ქალაქი უკეთესი იყოს. ჯანსაღ კრიტიკას ყოველთვის მივიღებთ და ეს მნიშვნელოვანი პროექტები, რომლებიც ჩვენს ბიუჯეტზე ალბათ, 4-ჯერ მეტი მაინც იქნება თავისი ღირებულებებით, ცენტრალური ხელისუფლებიდან ხორციელდება ჩვენს ქალაქში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი დავით ნიშნიანიძე: „როგორც გავიგე, ხელფასებს ადარებდით სოციალურ პროექტებს. ამასთან დაკავშირებით მინდა გითხრათ, რომ დაგეგმილია 9,6%-იანი სახელფასო ზრდა, ხოლო ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამები, ამაზე 25%-ით მეტია. მრავალშვილიანებთან დაკავშირებით წლის განმავლობაში კიდევ შევეცდებით, დამატებით გამოვძებნოთ თანხები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „რიონისპირა სახლები ახსენეთ ქალბატონო თეკლა. არც ადგილობრივ და არც ცენტრალურ ხელისუფლებას არა აქვს უფლება კერძო სახლებში შევიდეს რეაბილიტაციისთვის, თუ ვინმეს სახლი ენგრევა, ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ სოციალური პროგრამებიდან. თუ დაანონსებულ პროექტზე საუბრობთ, მიდის მუშაობა ამ მიმართულებითაც. ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად გვექნება პოზიტიური ძვრები. ეს არ არის მხოლოდ სახლები, ეს არის ტურისტული კუთხით განვითარება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უპარტიო წევრი, ბატონი ალექსანდრე მიქაუტაძე: „ბატონო გიორგი, თუ სწორად მახსოვს, თქვენ იყავით მერი, როცა დაანონსდა რიონისპირა სახლების რეაბილიტაცია და პროექტიც მომზადდა. მახსოვს შპს

„კარკასსა“ და მუნიციპალურ მედიებს შორის დაიწყო სამართლებრივი დავა. თქვენ ბრძანეთ, რომ კერძო საკუთრებაა და ამ ნაწილში ვერ შეხვალთ. უნდა გავიხსენოთ, რომ ეს პროექტი თქვენ დააანონსეთ, მგვ-მ ნახევარ მილიონზე მეტი წააგო სასამართლო დავაში შპს „კარკასთან“. ამ ეტაპზე სად არის ეს პროცესი და რა ეტაპზეა. კარგია, რომ კეთდება, მაგრამ 6-7 წლის წინ იყო ნათქვამი და რა ეშველება. თუ წინ წაიწევს, ძალიან კარგი იქნება. რაც შეეხება ანაზღაურების საკითხს, მისასალმებელია, როდესაც ანაზღაურება იზრდება, მაგრამ თუ ციფრებში შევალთ, ძალიან უცნაური სტატისტიკაა. ქვეყანაში საშუალო ხელფასი გადაცდა 2200 ლარს. ცალკე განსახილველია საარსებო მინიმუმი. სადაც გვჭირდება, ციფრი დაბალი გვაქვს და სადაც გვჭირდება - მაღალი. ძალიან უცნაური დათვლებით ხასიათდება თქვენი პოლიტიკური ორგანიზაცია. მე ისეთ სფეროში ვმუშაობ, სადაც ადამიანების ანაზღაურება ვერ ეწევა არსებულ ფასებს. კარგი იქნებოდა ხელფასების მატება უფრო ადეკვატური, რომ ყოფილიყო. 300-500 ლარი ვისაც აქვს ხელფასი, მინიმუმ 20%-ით მაინც, რომ მოვუმატოთ. ბალის მასწავლებლებს და პედაგოგებს ჩამოგითლით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „თქვენ ამბობთ, რომ 300 ლარი აქვთ ხელფასი, მაგრამ მე გეტყვით, რომ მათი ანაზღაურება 700 ლარია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უპარტიო წევრი, ბატონი ალექსანდრე მიქაუტაძე: „დამლაგებლები, დარაჯები, რომელთა ანაზღაურება დაბალია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი მარეხ ნიჟარაძე: „მოგესალმებით და ყველას გილოცავთ ამ ქალაქისათვის მნიშვნელოვანი ფინანსური დოკუმენტის მიღებას, რა თქმა უნდა, იქნება ცვლილებებიც. მრავალშვილიანი დედების პროგრამა იყო ჩვენი რეკომენდაცია. მთელი წლის განმავლობაში ვიქნებით ჩართული, რომ მაქსიმალურად გავაუმჯობესოთ და მივიყვანოთ ბოლომდე. ჩვენი გუნდის სტატისტიკა არ მოსწონს ბატონ ალექსანდრეს, მაგრამ მაინტერესებს თქვენი გუნდის სტატისტიკა როდის იყო მოსაწონი და როდის იყვნენ ბიუჯეტზე მზრუნველები თქვენი ლიდერები, რომლებიც 1500 ათას დოლარს

ითხოვდნენ ბიუჯეტიდან და სტრასბურგში პროცესის წაგების შემდეგ, იქეთ დაეკისრათ 600 ათასი დოლარის გადახდა. ეს იყო ბიუჯეტის, კერძო საკუთრების მიმტაცებელი გუნდი და ამ გუნდის წარმომადგენლებისგან ვერ მივიღებთ ვერანაირ შენიშვნას. ჩვენს ბიუჯეტში ძალიან სწორადაა პრიორიტეტები დასახული და მინდა გითხრათ, ბატონ დავითს და მის გუნდს ბიუჯეტის სწორად შედგენაში გრანტიც აქვს მიღებული. მართალია, ბიუჯეტს არ აქვს იმის საშუალება, რომ ყველა პრობლემა გადაჭრას, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ პრიორიტეტები სწორედ მოსახლეობის მოთხოვნიდან გამომდინარეა დალაგებული.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „როდესაც ბიუჯეტის პროექტი შემოდის აღმასრულებლისგან, თქვენ შეგიძლიათ ჩაერთოთ მუშა პროცესში, ვისაუბროთ და ჩვენი ერთობლივი მსჯელობის შემდეგ აღმასრულებელს მოვთხოვოთ კონკრეტული მიმართულებით მუშაობა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ქუთაისს კი არა, ბევრ უფრო დიდ ქალაქებს აქვს ბიუჯეტის პრობლემა, მაგრამ ეს მუშა პროცესია და უნდა მივყვეთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უპარტიო წევრი, ბატონი ალექსანდრე მიქაუტაძე: „ვიდეო ერთხელ განვმეორდები. სკოლაში ვმუშაობ და ადმინისტრაციულ ტექნიკურ პერსონალს საჯარო სკოლებში აქვს დაბალი ანაზღაურება. საბავშვო ბაღებში, სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებებში, სახელოვნებო დაწესებულებებში ხელფასი 1000 ლარზე ნაკლებია. კარგია, რომ საჯარო მოხელეებს, აპარატის თანამშრომლებს ვუმატებთ ხელფასებს, მაგრამ ვისაც 1000 ლარზე ნაკლები აქვს ხელფასი, მათ მოვუმატოთ 20%-ით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „თქვენი აზრით „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს რამდენი ექნებოდა თქვენნაირ ოპოზიციონერ პედაგოგს ხელფასი?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უპარტიო წევრი, ბატონი ალექსანდრე მიქაუტაძე: „რამდენიც ჰქონდა იმდენი. კარგი იქნებოდა მეტი იყოს

განათლების სისტემაში ხელფასების ზრდის დინამიკა. ნებისმიერ პროდუქტზეა ფასები გაზრდილი, ინფლაცია ვახსენე, რომ ფასებს ვერ ეწევიან ეს ადამიანები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ს.სარალიძე, თ.ბაკურაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.გიორგაძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 2-მა წევრმა: ალ.მიქაუტაძემ და თ.მებურიშვილმა), და ა ა დ გ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს დადგენილება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის, პეტრე ადამაძის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №5 დადგენილების პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სამტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილება № 5 ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მე-5 საკითხის - „ქალაქ ქუთაისში, წერეთლის ქუჩის № 96-ში (ნაკვეთი № 1) არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის -

სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა მამუკა კუბლაშვილმა.

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ს.სარალიძე, თ.ბაკურაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.გიორგაძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 19 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 1-მა წევრმა, ალ.მიქაუტაძემ), **და ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს განკარგულება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის, მამუკა კუბლაშვილის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გარეშე.

(„ქალაქ ქუთაისში, წერეთლის ქუჩის № 96-ში (ნაკვეთი № 1) არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულება №50 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ბატონმა დიმიტრი მხეიძემ გააკეთა განცხადება: „დღეს ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტი მივიღეთ. მინდა ფრაქციის სახელით მადლობა გადავუხადო ქალაქის მერს და მის გუნდს იმისთვის, რომ მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული ჩვენ მიერ მათთან მიტანილი ყველა პრობლემა. ყველა პრობლემა იქნა გათვალისწინებული, რაც კი იყო შესაძლებელი ჩვენი ბიუჯეტის ფარგლებში. ეს არის

გუნდურობა და დარწმუნებული ვარ, ეს მომავალშიც ასე გაგრძელდება. მადლობას გიხდით ყველას დასმული საკითხების დეტალურად და სიღრმისეულად განხილვისათვის. ვიმედოვნებ, რომ ასე გაგრძელდება მომავალშიც. ოპოზიციას კი მინდა ვუთხრა, რომ უფრო მეტად იყვნენ კონსტრუქციულები და ორიენტირებულები სიმართლეზე. შემოგვიერთდით და ერთდ ვიზრუნოთ ჩვენი ქალაქის ხვალისდელ დღეზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-3 რიგითი სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრებისა და მათთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების დასრულების გამო, საკრებულოს მე-3 სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-3 რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



გიორგი ჭიღვარია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ნ.გუგავასა
და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.